კომერციული ბანკი სს „საქართველოს ბანკი“-სთვის
(ს/კ 204378869)
დაკისრებული ფულადი ჯარიმა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს „საქართველოს ბანკი“ (ს/კ 204378869, ლიცენზიის ნომერი №86) „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 3^2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად 1,000 (ერთი ათასი) ლარით დააჯარიმა.

კომერციული ბანკი დაჯარიმდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნების, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევისთვის (ერთი შემთხვევა).